

საქართველი

საერთო უკრაინული გაზეთი

ოთხშაბათი 30 აპრილი 2000 №166 (1188)

ფასი 50 თეთრი

საბარათო 30 ლოს

ევროლუსია?

ევროპული ფეხბურთის ევოლუსია უეფას თამაშობარე მდგომარეობას უეზადებს

რეპაზ
კოკუაშვილი:
ფეხებს უეზოდგომით
ითვლიან



საქართველოს
ნაერები
„ფრაიბურგს“
თურმე
ჟურნალისტებმა
შეახვედრეს

დემეტრაკის
პოპერმა
ბოგუსლავსკი
ბადაყენა

ქართველმა
თავდაძსხმელმა კიევის
„დინამოს“ საწვრთნელი
ბაზა დატოვა

აზვითია და
ფერეთელი
მაინც დაისჯებიან

„ალანია“: რატომ უნდა
ვთქვათ ასეთ
ფეხბურთელებზე უარი?

მაკანამანი
ჯერ არ
გაბიჟებულა



ჯერ კიდევ
რეალელ
სტივ
მაკანამანს
„ლაციო“
ეპატიჟება

სცენარი
დაიწერა

საქართველოს მეათე
საკალათბურთო
ჩემპიონატი 1 ოქტომბერს
დაიწყება




ლენარტ იჟანსონს და უეფას ცალკე ევროკაეშირი და ცალკე G-14 უბევენ

რას იტყვით, ერთ მშვენიერ (ვისთვის როგორ) დღეს რომ გაიგოთ, პრემიერლიგაში „მანჩესტერ იუნაიტედი“, „არსენალი“ და „ლივერპული“, სერია A-ში „იუვენტუსი“, „მილანი“, პრიმერადივიზიონში „რეალი“ და „ბარსელონა“ აღარ ითამაშებენო. იმასაც თუ გეტყვიან, ჩემპიონთა ლიგის ფავორიტები „რუსენბორგი“ ან „პელსინგბორგი“ არიანო, ალბათ, სულ წაგიხდებთ ხასიათი. არადა, ეს ყველაფერი ფანტასტიკა არაა, ხვალ თუ არა, ზეგ შესაძლოა სწორედ ასე იქნეს... თუ მართლა ასე მოხდა, სად მიდიან ევროპული ფეხბურთის ის გრანდები, ზემოთ რომ ჩამოვთვალეთ? დიას, მიდიან, ოღონდ ფეხბურთიდან არა. მიდიან იქ, სადაც უეფას გრძელი ხელები ვერ მისწვდებთ. და რატომ? ეჰ, ამას თქმა უნდა? ხომ იცით, კაცი ორ კაპიკს რომ იშოვის, მადაც მაშინ მოდის... აქ კი განა კაპიკებზეა ლაპარაკი, ათობით მილიონების სუნი უდის ამ საქმეს. მაგრამ რა ექნათ ჩვენ, ფეხბურთის ქომავებმა, ვისაც მილიონებამდე ხელი არ მიგვიწვდება და კარგი ფეხბურთის ყურება გვწადია? ჩვენ ჩავრთავთ ტელევიზორს და ყოველ კვირას ვიხილავთ „რეალ“-„ბარსელონას“, „მილან“-„მანჩესტერს“ და ასე იქნება წლიდან წლამდე. ვინლა გაიხსენებს ჩემპიონთა ლიგას...

იხილეთ მეექვსე გვერდი

გაიღიგეთ ამ სიმუხვიდაზე



სეზონის ბოლო დიდი სლემის ტურნირის, აშშ-ის დია პირველობის პირველ დღეს ყველაზე საინტერესო ის იყო, რომ საინტერესო არაფერი მომხდარა. უკლებლივ ყველა ფავორიტმა, განთესილმა თუ ხეირიანად მოთამაშემ წარმატებით გადალახა პირველი დაბრკოლება და აბა, მსოფლიოს პირველ ჩოგნებს, მარტინა პინგისსა და ანდრე აგასის რა ღმერთი გაუწყრებოდათ, თავიანთი გულშემატკივრებისთვის გული დაეწყვიტათ. ერთი სიტყვით, ჯერ სიმუხვიდა, თუმცა რა ქარიშხლები მოსდევს ხოლმე „დიდი სლემის“ ტურნირთა მდორე დასაწყისს, თავადაც კარგად მოგეხსენებათ.

იხილეთ მეცამეტე გვერდი



ანდრე აგასი და მარტინა პინგისი: ჯერ ყველაფერი კარგადაა

REUTERS ნიუ იორკიდან

რევერსები და რევერანსები

დღევანდელი მიმოხილვა არაფრით შეიძლება ისე დაიწეროს, როგორც სხვა, რივითი...

ახალი ჩემპიონატის მეორე ტური იმით გამოირჩა, რომ მან წვრილმან-მსხვილმან ინტრიგასთან, სამსაჯო სკანდალებთან და სენსაციებთან ერთად ახალქართული ათწლეულის მატჩი შვა.

რაც ქართული ფეხბურთი დამოუკიდებელია და ეროვნულ ჩემპიონატს მართავს, „ტორპედოს“ თბილისში „დინამოსთვის“ არ მოუვია.

არც „დინამოს“ უწევს აქამდე ასეთი მარცხი. ათი წელია, ეროვნულ ასპარეზზე სამინაო შეხვედრებში ათჯინ ჩემპიონი არათუ დიდი ანგარიშით, ორბურთიანი სხვაობითაც არ დამარცხებულა. ასეთი რამ ერთადერთხელ, 1992 წლის 30 სექტემბერს „მრეტებთან“ მატჩში მოხდა და მაშინაც...

რვა წლის წინანდელი სათასო „დინამო“ — „მრეტებიც“ ეროვნულ სტადიონზე კი ჩაატარა, მაგრამ რაკი ახლა მოდავე კლუბები მაშინ ერთ სარბიელზე თამაშობდნენ, მათი სტუმარ-მასპინძლობა სავსებით პირობითი, წილისყრისმიერი გახლდათ.

მაგრამ ეს ორბურთიანი სხვაობაზე ვთქვით და ახლს სამიცი ვიკითხოთ — ასეთი შემთხვევა კვირამდე ერთადერთი, ისიც საერთაშორისო ასპარეზზე პოლანდიურ „ტობოურგთან“ წაგებული 0:3 იყო.

ზოგს ეგებ ისიც ასსოვდეს, როგორი რეაქცია მოაყოლეს ქომაგებმა ორი წლის წინანდელ მარცხს. „დინამოს“ მამინდელ პრეზიდენტ მერაბ ჟორდანიას და ვიცე-პრეზიდენტ რომან შოთაძეს საკუთარი ავტომანქანები პროფილაქტიკაში მისაფხანი გაუხლდათ, გუნდის ავტობუსს და ფეხბურთელებს კი შუშის ჭურჭლის ნიაღვარი ბნელში გაპარვით აიცილეს.

საბედნიეროდ, საკვირაო 0:3-ს მსგავსი არაფერი მოჰყოლია. მით უმეტეს, „დინამოს“ პრეზიდენტი ახლა ციხეშია და საკუთარი გასაჭირიც ჰყოფნის.

საკვირველი ის იყო, რომ ეს ათწლეულის მატჩი და მარცხი „დინამოს“ ახალბედა თავკაცმა რევაზ არველაძემ ისე ამაყად დაიბრალა, გვერნებათ, ვინმე შეცილებას აპირებდა.

— პასუხისმგებლობის დიდ ნაწილს, რა თქმა უნდა, საკუთარ თავზე ვიღებ, მარცხის ფეხბურთელებზე გადაბრალვას არ ვაპირებო — ჩანდა, ძალიან

დაუფიქრებლად თქვა უფროსმა არველაძემ. და თითქოს მოსალოდნელი რეაქცია მისთვის წინასწარ იყო ცნობილი, ამ ფრაზას წინ ესეც წაუძღვარა — რაოდენ ბანალურიც არ უნდა იყოს, მეტოქეს გამარჯვებას ვულოცავო.

გამოუცდელი და დებიუტანტი მწვრთნელის ასე ბრინჯივით დახვევა ისევე არაა მოულოდნელი, როგორც მისი გუნდის დიდი ანგარიშით, თუნდაც სამინაო მარცხი.

მეტოქეს რომ გამარჯვება მიულოცო, ამაში ბანალური არაფერია. ეს ზრდილობის ნორმაა, სპორტული ეტიკეტის და ფეხბურთში კი ფერი პრინციპის დაცვაა. მართალია, არმილოცვის ფაქტსაც არაერთს გაიხსენებს კაცი, მაგრამ ეს იმდენად მიუღებელია, რომ თავისთავად გამოიცილავს მილოცვის ბანალურობას. კი, ბატონო, ასეთი საექიელი მოკლებულია სიახლეს, ძველმოღურია, მაგრამ, თუ ასეა, მაშინ ჩვენში მხოლოდ ორი ტურის წინ დაწყებული მატჩის შემდეგომი პრესკონფერენციები არაა ბანალური. თუმცა მსგავსი ლოგიკით ასეთად ქცევა კი ემუქრება. ეს რევაზ არველაძესაც კარგად მოეხსენება. მან უკეთ იცის, რა იყო მის ნათქვამში ბანალური და რა არა.

უბრალოდ, არველაძეს უნდოდა ეთქვა, რაოდენ ბანალურიც უნდა იყოს, პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე ვიღებო. მაგრამ გაასხენდა, რომ უტიკეტო ჯერ მეტოქისთვის მილოცვა-კომპლიმენტებს ითხოვს და ნათქვამიც ის გამოუვიდა, რაც ზევით მოგახსენეთ.

აი, პასუხისმგებლობაზე ლაპარაკი კი მართლაც ძალიან ბანალურია, ჩვენი მწვრთნელების მიერ უკვე იმდენჯერ ნათქვამი, მეათედ შემთხვევაში მაინც რომ მის მიუქმელს სათქმელი გასივრებანებული ჰქონოდა, ჩვენი ფეხბურთის ბედს ძალიან ვაგლახად ვერ შეგვეფადა.

ჩვენ ყველას გვსმენია, ირლანდიის რესპუბლიკურ არმიასა თუ პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციაზე გაგვივია, რომ ვთქვათ, ლონდონურ „ჰეროდში“ მომზადარი ტერაქტის შემდეგ ირა პასუხისმგებლობას კისრულობს — ანუ აცხადებს, აფეთქება ჩვენი მოწყობილია და დანაშაუვს სხვაგან ნუ ეძებთო.

აქ ყველაფერი მარტივად და გასაგებია. მაგრამ ქართველი მწვრთნელების (არამართო მათი) შემხვედრე გაუგებარია, რას ნიშნავს პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღება, რაში



დინამო — ტორპედო 0:3. ტორპედოელმა დავით ჯანაშიამ (№9) ვერც ამჯერად აჯობა „დინამოს“ მეკარე ალექსანდრე ჩიხრაძეს

გამოიხატება ასეთი თვითგვემა. ცხადია, ეს ლიტონი სიტყვებია, განზე მდგომისთვის თვალში ნაცრის შესაყრელად განზრახული. აბა, სხვა რა ვთქვათ, როცა ვიცით, პასუხს ვინ აგებს დღეს რეალურად. ეს არველაძემ ყველაზე უკეთ უნდა იცოდეს, რადგან პასუხისმგებლობაში მიცემული „დინამოს“ პრეზიდენტი ავტო თვეზე მეტია, საყრდობილეშია.

პასუხისმგებლობის ბუნდოვანი საკითხი ამოწურულად ჩავთვალოთ და ახლა რევაზ არველაძის კიდევ ერთ ნათქვამს დაუბრუნდეთ. ამ მატჩამდეც და მატჩის შემდეგაც „დინამოს“ მთავარი მწვრთნელი ერთსა და იგივეს იმეორებდა — ჩვენი მთავარი მიზანი ჩემპიონობააო. მაგრამ „ტორპედოსთან“ გამანადგურებელი მარცხის შემდეგ ესეც დაიჩვილა, ტრანსფერებზე ვეტო გვაძევს და კიდევ ჩვენი ახალი გუნდი ვართ და ფეხბურთელები შეუთამაშებლები არიან, „ტორპედოს“ კი ჩვენზე უკეთესი ფეხბურთელები ჰყავსო.

მეორე შესაძლო მიზეზი: არველაძის საქციელს მისი უტეხობა განაპირობებს, ფეხბურთელები არ მყავს, ვინც მყავს, შეუთამაშებლები არიან, მაგრამ ჩემს თვალში ჩემპიონი ყოველთვის „დინამო“ იყო და არის და აწიც ასე იქნებაო... ცხადია, მიზეზებზე ნათქვამი ხუმრობაგაშვებითა, მაგრამ ყველა ხუმრობაში არსებულ სიმართლის მარცვალზეც ხომ გსმენიათ...

რევაზ არველაძე ახალბედა მწვრთნელია და ამა თუ იმ საქმეში ახალფუნდებულ კაცს რომ ფეხი გადაუბრუნდება, ცხადია, ქოქოლა არ უნდა დააყარონ. რაც აქ ვთქვით, არცაა ქოქოლა, უბრალოდ, ჩვენ ვიცით, უფროსმა არველაძემ ასაკიდან გამოძინარე კიდევ დღესაც უნდა იღვასოს ქართული ფეხბურთისთვის და არ გვსურს, ისიც თავიდანვე იმ ნატკეპნ, საილო გზას გაჰყვეს, რომელიც სასიკეთო ბოლოსთან არც მას, არც მის გუნდს და ქართულ ფეხბურთს მიიყვანს.

„დინამოზე“ და მის მწვრთნელზე ბლომად ვთქვით და ერთი-ორი სიტყვა „ტორპედოს“ არ ვუძღვნათ, არ შეიძლება. მით უმეტეს, ეს არ იყო მატჩი, რომელიც „ტორპედომ“ კი არ მოიგო, „დინამომ“ წააგო. ექსპერიმენტის დამარცხება, თანაც ასე მწარედ, სწორედ ჩემპიონმა აიძულა.

ოფიციალური ვერსიით, მოწამლული დავით ყიფიანის არყოფნაში გუნდი მისმა თანაშემწეებმა — ჯემალ ხერხეიძემ, გელა კიკელიძემ და გიორგი აბზიანიძემ გაიყვანეს სათამაშოდ, მათ გვერდს კლუბის გენერალური მენეჯერი ვლადიმერ გუცაევი უშვებდა. რა როლი ითამაშა გუცაევი საკვირაო გამარჯვებაში, მეზუთე გვერდის ზედა ფოტოს მიხედვით თავად განსაჯეთ.

„ტორპედო“ მომენტებში მართლა კარგი სანახავი იყო, ოღონდ მომენტებში. ძირითადად კი ის თამაშობდა-ხოლმე, ვინც ბურთს ფლობდა. ასე თამაშით კი დღეს შეიძლება „დინამოს“ 3:0 მოუგო, მაგრამ „ცრვენა ზეზუნდასთან“ 0:4 წააგებ.

კარგად ითამაშა ექსტრინამოელმა ვალტერ გუჩუამ, აწიბაძის პენალტის ამღებმა ირაკლი ზოიძემ, ვასტანგ თურმანიძემ, კახა კვეციანიმ, ზურაბ იონანიძემ, გაა იმედაძემ და თვით დავით ჯანაშიამ, რომელსაც ფეხმარდობის წყალობით შექმნილი არაერთი მომენტოვან ერთობის გამოყენება მაინც მართებდა.

უტყობა, მართლა შეტრიალდა ქართული ფეხბურთის ბედის ბორბალი. დღეს „ტორპედო“ ისევეა, რაც კარგახანს იყო „დინამო“. დღეს „ტორპედოში“ 13 ისეთი ფეხბურთელია, ერთხელ მაინც რომ მოურგია ეროვნული ნაკრების მაისური. „დინამოში“ აი ასეთი ნახევარია — ექვსი.

კარგად მასსოვს, რა დრო ედგა „ტორპედოს“, ვთქვათ, ხუთი წლის წინ. მასსოვს როგორ გულბურყვილოდ სჯეროდათ მაშინ ქუთაისელ ქომაგებს, „დინამო“ თასს დაგვიტომოს და ევროტურნირებზე გვათამაშებსო. განა არ იცით, არაფერს თმობდა „დინამო“ და სწორადაც იქცეოდა. სხვაგვარად არ იქნებოდა დღეს „ტორპედო“ ასეთი და ჩვენი ჩემპიონატიც მხოლოდ იმ გაანგარიშებას დაემსგავსებოდა, რომლის დაგვეგვაც, ვიცნობთ ქართულ ფეხბურთში ერთ-ორ ასეთ კაცს, მთელი ათი წლით ადრე შეიძლებაო.

მაგრამ ათწლეულის მატჩის შედეგი არ იყო წინასწარ დაგვემძილი. პირიქით, მან უპასუხა ჭორ-ხმებს, რომლებიც დალაღებდნენ, „ტორპედო“ „დინამოს“ დაუთმობსო. ასე არ მოხდა და ამიტომაც იყო „დინამო“ — „ტორპედო“ დიდი მატჩი, თამაშის ხარისხით ეროვნულ ჩემპიონატში ბარე ამაზე უკეთესი მატჩებიც გვინახავს.

ამიტომ იყო, რომ დღევანდელი „მიმოხილვის მაგიერ“ ერთ მატჩს მიეძღვნა, რადგან ამ კვირადღეს უფრო მნიშვნელოვანი, სენსაციათა თუ სამსაჯო სკანდალთა მიუხედავად, არა მომზადარა.



დილა — მერანი 2:1. თბილისელი ავთანდილ ხორხელი გორელ ხვიჩა გაგანიძეს გაემტკა

საგამოცემო-გაზეთო-ბეჭდვითი ცენტრი

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია

2 ტური

ტურის სტატისტიკა

ტური	2
მატჩი	12
გოლი	30
გოლი საშუალოდ მატჩში	2,5
მასპინძელთა მოგება	7 (58%)
ფრეები	0 (0%)
სტუმართა მოგება	5 (42%)
საერთო დასწრება	18 500
საშუალო დასწრება მატჩზე	1 542
საუკეთესო დასწრება ტურზე	1: 5 000
მწირი დასწრება ტურზე	1,1: 500

დაჯარიმდა სემ

მასპინძელი	88	14,65
სტუმარი	96	16,00
სულ	184	30,65

კუთხური სემ

მასპინძელი	52	8,65
სტუმარი	22	3,65
სულ	74	12,30

კარისკენ დარტყმა სემ

მასპინძელი	54	9,00
სტუმარი	30	5,00
სულ	84	14,00

კარში დარტყმა სემ

მასპინძელი	49	8,15
სტუმარი	22	3,65
სულ	71	11,80

თამაშობარი სემ

მასპინძელი	23	3,85
სტუმარი	28	4,65
სულ	51	8,50

სემ - საშუალოდ ერთ მატჩში

გომარადობები

2 - იონანობი	ტორბელი
კიტბიფიფი	გორდა
დ. გორბიფიფი	მერანი
ა. გორბიფი	ბათუმი
ახსენაზა	ბათუმი



ლოკომოტივი — გორდა ნი. გივი კვარაცხელია (№7) და გიორგი შენგელია რუსთაველთა კარის დალაშქვრას ცდილობენ



დევით ყიფიანის არყოფნაში ბზინიქს, კაკლეშვილს და ხერხაძეს გვერდს „ტორპედოს“ მენეჯერი ვლადიმერ გუცაკევი უმშვენებდა

დინამო 0:3 ბორჯომი

27 აგვისტო 19:30 საათი

დინამო 2 600 (ტელეფონი 75 000)

დინამო 0:3 ბორჯომი

01 იონანობი (22), 02 იმედაძე (32), 03 კვციანიძე (44)

ამბაბაძე ვერ გაიტანა ბენალტი (26)

დინამო: ჩხარაძე, ქვიციანიძე (ზაზიშვილი 62), ვაშაძე, შანიანი, ა. სანიაძე, მ. ჯინჯიფაძე, ან. ჩხარაძე, დავითაძე, კ. გოგოლაძე (ბურდული 46), ზორბეგაძე (კ. ვ. მიქაძე 63), სიჭინავაძე, სათადარიგო: ბათიაშვილი, კანდელიძე, რუსთაძე, მანუაშვილი

ბორჯომი: ზოიძე, იონანობი, მახვილიძე, კ. კვციანიძე, ჯანაშია, მჭებელი (კაპიტანი 83), თურმანიძე, გუგუშვილი (მეგრელიძე 79), აბულაძე, იმედაძე (სამაიაძე 71), სეფიანი

სათადარიგო: გრ. ქვციანიძე, გ. ბერიძე, შალვაშვილი

მწვენილები: გუგუშვილი (6), ამბაბაძე (9), სეფიანი (74)

მსაზღვრე: ა. შილაძე, ვ. დოლიძე, ვ. ჩიჩინაძე, მ. მალაღობაძე (ველა თბილისი)

სწავლის ინსპექტორი: გ. ფორცხაძე

ბათუმი 3:1 თსუ

27 აგვისტო 19:30 საათი

დინამო 2 000 (ტელეფონი 20 000)

ბათუმი 3:1 თსუ

01 აფსაზაძე (4), 02 ნუნუაძე (31), 03 მუხომანი (53), 04 აფსაზაძე (55)

ბათუმი: ქვიციანიძე, ბაბიძე, მინდიაძე, სიდაშვილი, ქვიციანიძე (ქვიციანიძე 71), მინდიაძე, ჩიქოვანი (კაპიტანი 50), კაკაბაძე, გუგუშვილი, ა. მუხომანი, აფსაზაძე (კუციანიძე 82)

სათადარიგო: ბერიძე, თედორაძე, სხარაძე, ლიპარიძე

თსუ: მამარაშვილი, ერეკლე (ნ. ნოზაძე 62), სარგ. ბეგა, ვეჯინი, ურბლიძე, არეშიძე (ა. ბოკერია 83), სეფიანი (კ. ალადაშვილი 67), მესხი, ახალაძე, რ. გოციანიძე, ნუნუაძე

სათადარიგო: გუგუშვილი, მოსილიძე, ლომინაძე, ზ. ლაბაძე

მწვენილები: ქვიციანიძე (47), ალადაშვილი (84)

მსაზღვრე: ა. მუხომანი, მ. მინდიაძე (ორივე თბილისი), ზ. ხუციანიძე (დინამო), კ. მესხი (სუფიანი)

სწავლის ინსპექტორი: ა. დურდუნიძე

დილა 2:1 შირაქი

27 აგვისტო 19:30 საათი

დინამო 1 000 (ტელეფონი 8 230)

დილა 2:1 შირაქი

01 ხმალიძე (9), 02 ხორვათაშვილი (76), 03 გოგუშვილი (84)

დილა: მინდიაძე, აკოვანი, გრიგალაშვილი, გარ. ნინო, ლ. გომიშვილი, ვეჯინი, კახიანიშვილი (საფარულიძე 66), ციციანიძე (ზაზიშვილი 77), ვეჯინი, სორბეგაძე, ა. ხმალიძე (ლომინაძე 74)

სათადარიგო: თ. ილიურიძე, მ. ბურბანიძე, გ. ტყეშელაშვილი

შირაქი: დეგბე, ილიურიძე, დეგბე, ილიურიძე, კახიანიშვილი (კ. კვციანიძე 35), დ. გოგუშვილი, ლ. ხორვათაშვილი (ბაგდადიანი 76), კაკაბაძე, ქვიციანიშვილი (თბილისი 80), მინაშვილი, გუგუშვილი, სათადარიგო: ნაჭვიაძე, ივანიშვილი, ციციანიშვილი, ბოლქვაძე

მწვენილები: გოგუშვილი (62), საფარულიძე (88)

მსაზღვრე: ა. შალვაშვილი, კ. კახიანიშვილი, ნ. რე. სიჭინავაძე, მ. დავითაშვილი (ველა თბილისი)

სწავლის ინსპექტორი: ი. მჭედლიძე

კოლხეთი 2:0 იზირი

27 აგვისტო 19:30 საათი

დინამო 1 000 (ტელეფონი 6 500)

კოლხეთი 2:0 იზირი

01 ფაშულიძე (16), 02 შიგუშვილი (72)

კოლხეთი: ვერ. გიტანი, ბენალტი (72, მეკარი), მუსაბეგოვი, ჩიქოვანი, ქვიციანიძე, ფრანგიშვილი, ბაბა. ვა, მალაღობაძე, ახალაძე (კვციანიძე 81), კვიციანიშვილი, ხუციანი (კრასოვსკი 82), შიგუშვილი (მ. ჩიქოვანი 76), ფაშულიძე, ლაღანიძე

სათადარიგო: გ. მ. მიქაძე, თედორაძე, ჯღარკაძე, კვციანიძე

იზირი: ჩიქოვანი, ფანიანი, გ. ნოზაძე, სანიკიძე, მ. ქვიციანიძე, გიორგიანი, ლ. ხმალიძე, გიტანი, ზ. მე. ტყეშელაშვილი, ილიურიძე, მუხომანი (ჩიქოვანი 51)

სათადარიგო: ვარდანიძე, კვციანიშვილი, ბინაძე, იონანი, ბანელიძე

მწვენილები: მუხომანი (14), ბაბაძე (55), ჩიქო. სიძე (58), მეტრეველი (62), კვციანიშვილი (82)

მსაზღვრე: ა. კრესტოვი, ზ. ჯვარიანი (ორივე თბილისი), ჯ. ბუციანიძე (ქვიციანიშვილი), ს. კვარაცხელია (სუფიანი)

სწავლის ინსპექტორი: ი. ჩიქოვანი

ლოკომოტივი 6:0 გორდა

28 აგვისტო 19:30 საათი

დინამო 500 (ტელეფონი 70 900)

ლოკომოტივი 6:0 გორდა

01 ბლაღოშვილი (26), 02 დავითაშვილი (42), 03 კვციანიშვილი (49), 04 მენდელიანი (57), 05 რუსია (73), 06 ლევან სილაგაძე (83)

ლოკომოტივი: ვერ. გიტანი, ბენალტი (90, მეკარი), მუსაბეგოვი, ჩიქოვანი, ქვიციანიძე, ფრანგიშვილი, ბაბა. ვა, მალაღობაძე, ახალაძე (კვციანიძე 81), კვიციანიშვილი, ხუციანი (კრასოვსკი 82), შიგუშვილი (მ. ჩიქოვანი 76), ფაშულიძე, ლაღანიძე

სათადარიგო: გ. მ. მიქაძე, თედორაძე, ჯღარკაძე, კვციანიძე

გორდა: ნიკოლაძე, მჭედლიძე, ბეჭელი, გუგუშვილი, ბატარიძე (ბაჩილაძე 55), ა. ბუკია (კვციანიშვილი 46), ზ. ლაბაძე (მუხომანი 46), ლაშა სილაგაძე, მელაძე, იფინიანი, კ. ალადაშვილი, ქვიციანიშვილი (საფარულიძე 58), ხორვათაშვილი, დავითაშვილი (რუსია 46), გ. მენდელიანი (კრასოვსკი 58)

სათადარიგო: ივანიშვილი, ა. ჯღარკაძე, გიორგიანი, ბერაშვილი

მწვენილები: ნიკოლაძე, მჭედლიძე, ბეჭელი, გუგუშვილი, ბატარიძე (ბაჩილაძე 55), ა. ბუკია (კვციანიშვილი 46), ზ. ლაბაძე (მუხომანი 46), ლაშა სილაგაძე, მელაძე, იფინიანი, კ. ალადაშვილი, ქვიციანიშვილი (საფარულიძე 58), ხორვათაშვილი, დავითაშვილი (რუსია 46), გ. მენდელიანი (კრასოვსკი 58)

მსაზღვრე: დ. სანიანი, ა. სამარაძე (ორივე სოხუმი), გ. ტყეშელაშვილი (საფარულიძე), ზ. ანიშვილი (კრასოვსკი)

სწავლის ინსპექტორი: ნ. კაკელიანი

ვიტ ჯორჯია 0:1 სიონი

28 აგვისტო 19:30 საათი

დინამო 1 000 (ტელეფონი 3 000)

ვიტ ჯორჯია 0:1 სიონი

01 ქვიციანიძე (50, კ.)

ვიტ ჯორჯია: მინდიაძე, სეფიანი, ქვიციანიძე, კო. ბიანიშვილი, ჯ. მუხომანი (სულთანაშვილი 50), ლ. ნოზაძე, დიდიშვილი, დ. დიდიშვილი (დევანიანიძე 55), ყიფიანი, გ. კახიანიშვილი, ლ. მუხომანი, სათადარიგო: სტურუა, იმედაძე, სხარაძე, გიორგი ქვიციანიძე

სიონი: ვოლკოვი, ვ. მისურაძე, ასპინძელი, ირემიშვილი, დიმიტრიშვილი, ბარნოვი, სო. ლოლაშვილი, ბუტიაშვილი, გამყვანიძე (კ. გოგუშვილი 46), ისიანი (მოსეშვილი 90), ნიჭი. ვაძე

სათადარიგო: დიდიშვილი, მ. სამარაძე, თ. სამარაძე, დ. ჯღარკაძე, ს. არეშიძე

მწვენილები: კახიანიშვილი (60), სოლოლაშვილი (76)

მსაზღვრე: ა. ორდინიძე (ონი), ლ. მიქაძე, გ. ჩი. გოგუშვილი (საფარულიძე), დ. ფანიანიშვილი (თბილისი)

სწავლის ინსპექტორი: ზ. ქვიციანიძე

სიმბოლური ნაბრები

გიორგი მინდიაძე (ტორბელი)	გელა ვახუშტაძე (კოლხეთი)	ვალერი ბურბანიძე (ტორბელი)	ვლადიმერ მუსაბეგოვი (ლოკომოტივი)	ვლადიმერ მუსაბეგოვი (ლოკომოტივი)
გიორგი მინდიაძე (ტორბელი)	ვალერი ბურბანიძე (ტორბელი)	ვლადიმერ მუსაბეგოვი (ლოკომოტივი)	ვლადიმერ მუსაბეგოვი (ლოკომოტივი)	ვლადიმერ მუსაბეგოვი (ლოკომოტივი)
გიორგი მინდიაძე (ტორბელი)	ვალერი ბურბანიძე (ტორბელი)	ვლადიმერ მუსაბეგოვი (ლოკომოტივი)	ვლადიმერ მუსაბეგოვი (ლოკომოტივი)	ვლადიმერ მუსაბეგოვი (ლოკომოტივი)
გიორგი მინდიაძე (ტორბელი)	ვალერი ბურბანიძე (ტორბელი)	ვლადიმერ მუსაბეგოვი (ლოკომოტივი)	ვლადიმერ მუსაბეგოვი (ლოკომოტივი)	ვლადიმერ მუსაბეგოვი (ლოკომოტივი)

«ა» ჯგუფი

№ გუნდები	სულ						შინ						სტუმარად								
	თ	გ	ფ	ბ	ს	ქ	თ	გ	ფ	ბ	ს	ქ	თ	გ	ფ	ბ	ს	ქ			
1 ლოკომოტივი	2	2	0	0	7:0	7	6	1	1	0	0	6:0	6	3	1	1	0	0	1:0	1	3
2 ბორჯომი	2	2	0	0	4:0	4	6	1	1	0	0	1:0	1	3	1	1	0	0	3:0	3	3
3 ვიტ ჯორჯია	2	1	0	1	3:1	2	3	1	0	0	1	0:1	-1	0	1	1	0	0	3:0	3	3
4 კოლხეთი	2	1	0	1	2:1	1	3	1	1	0	0	2:0	2	3	1	0	0	1	0:1	-1	0
5 ბათუმი	2	1	0	1	4:4	0	3	1	1	0	0	3:1	2	3	1	0	0	1	1:3	-2	0
6 დილა	2	1	0	1	2:4	-2	3	2	1	0	1	2:4	-2	3	0	0	0	0	0:0	0	0
7 შირაქი	2	1	0	1	2:2	0	3	1	1	0	0	1:0	1	3	1	0	0	1	1:2	-1	0
8 სიონი	2	1	0	1	1:1	0	3	0	0	0	0	0:0	0	0	2	1	0	1	1:1	0	3
9 დინამო	2	1	0	1	1:3	-2	3	1	0	0	1	0:3	-3	0	1	1	0	0	1:0	1	3
10 გორდა	2	1	0	1	3:7	-4	3	1	1	0	0	3:1	2	3	1	0	0	1	0:6	-6	0
11 იზირი	2	0	0	2	0:3	-3	0	1	0	0	1	0:1	-1	0	1	0	0	1	0:2	-2	0
10 თსუ	2	0	0	2	1:4	-3	0	1	0	0	1	0:1	-1	0	1	0	0	1	1:3	-2	0

ეპროლუსია?

ეპროლიზა ანუ ეროლოდული პარსაქტივა: უფა სელონური თაგაზარაჟი, „მანჩესტერ იუნაიტედი“, „იუნაიტედი“, „ბაიერნი“ თუ „რეალნი“ უპროფესიონალიზმად

ცინიკი შინიდან ტყდება. თუ ვინმეს ამ სიტყვების სისწორისა არ სჯერა, უფასო დაეკითხოს, იქ დაუღალავ ტურებზე.

დღეს ევროპული ფეხბურთის მამებს (მათთან ერთად ფიფას) დიდი თავსატეხი გასწვრივთ. ევროკავშირის რაიმი იდეა თუ არ შეამჯობლოს, ეს უკანასკნელი არსებულ სატრანსფერო ბაზარს უკანონოდ გამოაცხადებს და ერთი ხელის მოსმით წყალში გადაყრის ფეხბურთელებით ვაჭრობის იმ წესებს, ფიფა-უფასო აქამდე წმინდათაწმინდა რომ ეგონა. თუმცა ამ საკითხზე დიდხანს ნუ შევჩერდებით, რადგან უკვე ბევრი რამ გვითქვამს, თან ევროკავშირის მუქარას ციხის (უფასო) შინიდან გატყვევასთან საერთო არაფერი აქვს. ეს უფრო გარეშე ძალაა.

იუპანსონს და კომპანის შინიდან ისინი უთხრიან ძირს, ვისაც თავი ევროპული ფეხბურთის ბოლოებდა გამოუცხადებიათ და G-14-ად იწოდებიან.

G-14-მა ამ ორიოდე წლის წინ წამოყო თავი. იქამდე „მილანის“ თუ „მანჩესტერის“ დონის გუნდებმა იცოდნენ, რომ უფასო მათი მატჩებიდან გვარიან შემოსავალს იღებდა, მაგრამ ალბათ იმასაც ფიქრობდნენ, ასეა საჭიროო. პოლი, ისინიც მშვიდად იყვნენ და უფასო. მედია პარტნერის“ გამოჩენამ ყველაფერი არია.

„მედია პარტნერის“ უდიდესი კომპანია, რომელიც ბიზნესის სხვადასხვა სფეროში საქმიანობს. რაკია ფეხბურთით კარგა ხანია, ბიზნესად იქცა, თან უაღრესად სარფიანად, კომპანიამ (მისი ცენტრალური ოფისი მილანშია) იქაც მოინდომა შეჭრა.

„მედია პარტნერის“ პირველი ნაბიჯი ერთი შეხედვით ძალიან მარტივი, მაგრამ ერთობ ეფექტური იყო. ევროპული ბოლოდა კლუბების გასაგონად მისმა ბოსებმა თითქოსდა გულუბრველო კითხვა დასვეს: რატომ უნდა

მიპქონდეს გრანდთა მონაწილეობით ჩატარებულ ტურნირებიდან მიღებული შემოსავლის სოლიდური წილი უფასო, როცა შესაძლებელია, ყველაფერი თავად კლუბებს რჩებოდეთ? კითხვა უუსტად მიზანში მოხვდა. მართლაც, რატომ?

ბოლოდა კლუბებმა უმალ კაპიკაპიკი დაიანგარიშეს, თუ რამდენით მეტ შემოსავალს მიიღებდნენ, თუ უფასო ჩამოშორდებოდნენ. ციფრები შთაბეჭდავად გამოიყურებოდა. დაუყოვნებლივ მოქმედება იყო საჭირო და ასე შეიქმნა G-14 — თითხმეტი ევროპული გრანდისგან შემდგარი არაოფიციალური დაჯგუფება, რომელსაც „მედია პარტნერის“ მფარველობდა და აქეზებდა.

უფასო პასუხი ვიცით. მსუყე ლუკმის შესაძლო დაკარგვით შემინებულმა ლენარტ იუპანსონმა უმალ ჩემპიონთა ლიგის ფორმატის შეცვლა და მასში მონაწილე გუნდთა რაოდენობის 32-მდე გაზრდა ბრძანა. ამით საპრიზო ფონდს ერთბაშად 300 პროცენტით გაიზარდა. G-14-ის ამბიციაც დროებით ჩაცხრა. ასე მივიღეთ ჩემპიონთა ლიგა იმ სახით, როგორც დღეს გვაქვს (თუმცა ქართული გუნდების შემჭურვ, ჩვენ არაფერიც არ გვაქვს, ლიგა სხვებისა).

ახლა რამდენიმე რაცობრივი მონაცემიც: ბილეთების გაყიდვით, ტელეტრანსლაციით, რეკლამითა და სპონსორებით უფასო ჩემპიონთა ლიგიდან წელიწადში 600 მილიონ დოლარს იღებს. აქედან სამი მეოთხედი კლუბებისაა, დარჩენილ თანხას უფასო თავისთვის იტოვებს და ბავშვთა ფეხბურთს, მსაჯებს და ქალთა ბურთაობასაც აფინანსებს. ცხადია, არც გაჭირვებულ ფედერაციებს და საკუთარ ბიუროკრატიულ აპარატს იფიქვებს.

600 მილიონის ერთი მეოთხედი, რასაც უფასო თავისთვის იტოვებს, არცთუ მცირე თანხაა, მაგრამ ბევრიც არაფერია იმასთან შედარებით, რასაც „მე-

დია პარტნერის“ გრანდებს ჰპირდება — დამოუკიდებელი ევროლიგა შექმნათ და სეზონში მილიარდ ორასი მილიონს მოვიხვევით.

სანამ გავერკვევით, თუ რამდენით გაიზრდება კლუბების შემოსავალი, ვერ ევროლიგის რაობა გავარჩიოთ, მით უმეტეს, ამ სიტყვის ხმარება ახლაც ხშირად გვიწევს და მომავალში ხომ...

ევროლიგაში კონტინენტის ოცი საუკეთესო კლუბი ითამაშებს. ტურნირი ისეთი ფორმატით გაიმართება, როგორც ეროვნული ჩემპიონატები. გუნდები ერთმანეთს ორ წრედ შეხვდებიან. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ ევროლიგიდან არავინ გავარდება. ევროლიგის მონაწილეთა რაოდენობა და ვინაობა მუდამ უცვლელი იქნება (ასეა ამერიკულ ენბიში).

ევროლიგის გუნდები არ ითამაშებენ არც ეროვნულ ჩემპიონატებში და არც ევროტურნირებზე. დიდი შანსია, რომ კლუბები არც ნაკრებებში გაუშვებენ მოთამაშეებს. გასაკვირი არცაა: თუ ეს კლუბები ფიფა-უფასო და ეროვნულ ფედერაციებს არ დაემორჩილებიან, ნაკრებებში მოთამაშეთა გაშვებას ვინდა აიძულებს? ამ შემთხვევაში ნაკრებები კლუბების შესვეურთა და ფეხბურთელთა პატრიოტიზმის იმედდად დარჩებიან.

საინტერესოა, რომ პროექტზე, რომლის დეტალებიც აქ მიმოვიხილეთ, ვინმე ტომას კერტი მუშაობს, უფასო თანამშრომელი, რომელიც დიდი შეჯიბრების ორგანიზების ერთ-ერთ საუკეთესო სპეციალისტად ითვლება როგორც ჩანს, G-14-მა ტომას კერტი გადაიბრია.

ახლა იმაზეც, თუ როდის უნდა ევროლიგით ევროლიგის დაარსებას. ირწმუნებიან, რომ ეს უახლოესი მომავლის საქმეა და საკითხი უკვე მომწიფებულია. ამასთან დაკავშირებით მიუნხენის „ბაიერნის“ ვიცე-პრეზიდენტი კარლ ჰაინც რუმენიგე „ბილდ ამ ზონტაგისთვის“ მიცემულ ინტერვიუში ამბობს: „უფასო ვერ შეძლებს ჩვენს შეჩერებას. ფინანსური პრობლემა დღითიდღე სულ უფრო აქტუალური ხდება“.

აქვე „ლაციოს“ მწვრთნელის, სვენ გორან ერიკსონის აზრსაც გავხეიწნოთ: „მსოფლიო ფეხბურთის ფული მართავს. ამასთან, ევოლოციური პროცესის შეჩერება შეუძლებელია. ისიც ვიცით, რომ დიდი ფული იმ თამაშებს მოაქვს, რომელშიც გრანდები ხვდებიან ერთმანეთს“.

დაპირებისამებრ, კლუბთა შემოსავლების საკითხს მივუბრუნდეთ. როგორც ზემოთ ვთქვით, წინა ჩემპიონთა ლიგაში მოთამაშე 32-მა კლუბმა საერთო ჯამში 600 მილიონი დოლარი მიიღო. ცხადია, ზოგს მეტი ერგო, ზოგს — ნაკლები, მაგრამ საშუალო შემოსავალს თუ ვიანგარიშებთ, თითოეულს 18,7 მილიონი გამოუვიდა. ისიც ვთქვით, რომ ევროლიგის შექმნის შემთხვევაში 600 მილიონი 1200 მილიონად იქცევა, იქ მოთამაშე გუნდთა რაოდენობა კი მხოლოდ ოცი იქნება. აღნიშნული თანხა მილიარდამდე დავამრგვალოთ (დარჩენილი 200 მილიონი „მედია პარტნერის“ დაუტოვოთ) და მივიღებთ, რომ თითოეული გუნდი საშუალოდ 50 მილიონ დოლარს მიიღებს. აბა, სად 18,7 მილიონი და სად — 50?! სხვაობა მართლაც შთაბეჭდავია.

ისე, გარკვეული პრობლემები ევროლიგის მოსურნეთა შორის უკვე არსებობს. საქმე ორგანიზატორებს ეხება. კერძოდ, „მედია პარტნერის“ კონკურენტი გაუჩნდა. ესპანური სატელეფონო კომპანია „ტელეფონიკა“ G-14-ის თავისკენ გადაბირებას ცდილობს და აცხადებს, ევროლიგის ჩატარებას უკეთ შეეძლება. „ტელეფონიკას“ მხარესაა „ბაიერნი“.

დიდი დაპირებისირება გრძელდება. ზიოგზი დარჯანია



დვიდ ბექემი მორჩილებას ამჯობინებს

ყველა შეფი ერთნაირია

დვიდ ბექემი ენას კიბილი დააჭირა და „მანჩესტერ იუნაიტედის“ მწვრთნელთან ალექს ფერგუსონთან ურთიერთობაც გამოასწორა.

გესონობათ, გასულ სეზონში „იუნაიტედისა“ და ინგლისის ნაკრების ვარსკვლავმა ვაჟის, ბრუკლინის ავადმყოფობის გამო ვარჯიში გააცდინა, ხოლო ამით აღშფოთებულმა ფერგუსონმა მერე დღეს იგი საწვრთნელი მიუდინდეს გააგლო. ამან თავის მხრივ ფეხბურთელი გააცოფა და გაიბახლა, ინგლისური ფეხბურთიდან სულაც წავალი.

ახლა კი ბექემი მორჯულებულია, არნახულად კარგ ფორმაში გახლავთ და ბოსთანაც ჩინებული ურთიერთობა აქვს:

„მამინ ფეხბურთელების უმეტესობა შემოგვევია და გაგვაშვალეს. მე და მწვრთნელმა ერთმანეთს ისეთი სიტყვები ვუთხარი, აუცილებლად რომ უნდა დაგვევიწყებინა. ბოლოს და ბოლოს, ნებისმიერი შეფის მსგავსად თავის ქვეშევრდომებს ფერგუსონიც აღიზანებს ხოლმე. მკაცრი კაცია, თუმცა ბევრ რამეში სამართლიანად იქცევა. ერთი სიტყვით, დღის მიწურულს სიმშვიდისთვის სჯობს ხმა არ ამოიღო. თუ ამ პრინციპს ყოველდღე მისდევ, ცხოვრება გააციოლდება.“

ფერგუსონი რასაც მიკეთებს, ჩემი ინტერესებიდან გამომდინარეა. ერთი სიტყვით, ბოსია და უნდა უსმინო კიდევ“.

ფურხალ OK-სთვის მიცემულ ინტერვიუში ბექემი სხვა თემებსაც შეეხო. კერძოდ, მან განაცხადა, რომ „იუნაიტედის“ წასვლა არასდროს უფიქრია.

„ბევრჯერ, როდესაც შემოთავაზებულ წინადადებებს დავხედავდი, გაცოცხლებიან წარბებს მართლაც აკეჩავდი ხოლმე, მაგრამ მანჩესტერში თავს მეტ ბედნიერად ვგრძნობ და ჩემი ოჯახიც. ხანდახან ისეთ თანხებზე იყო ლაპარაკი, მეშინოდა. 40 მილიონი გირვანქა სულელოური ფულია“.

ბექემი ინგლისის ნაკრებში კვლავაც ერთ-ერთი წამყვანი ფიგურაა, ნაკრები კი შბათს პარიზში საფრანგეთის ნაკრებთან თამაშობს. ეროვნული გუნდის თავკაცი კევინ კიგანი ნახევარმცველისთვის მერე მწვრთნელია, ოღონდ ფერგუსონისგან განსხვავებით, მას ფეხბურთელი მხოლოდ აქვს.

„კევინი ჩემთვის ბევრს ნიშნავს და არა მხოლოდ პროფესიული თვალსაზრისით, პიროვნულადაც. მას ჩემზე დიდი ამაგი აქვს. ცხოვრებაში დიანაც მქონია ორიოდ პრობლემა, ოღონდ ნაკრების ბანაკში მივსულვარ თუ არა, კიგანს ისინი გაუქრია. სულ მიმეორებს, პრობლემები უნდა დაახარისხო და მოეულებო. სხვათა შორის, ფეხბურთელობისას კევინიც ფურადლების ცენტრში იყო და კარგად იცის, ეს რაც არის“.



ჩემპიონთა თასს, ბოლოს მადრიდის „რეალს“ რომ ეჭვრა, სამუხეუმო ექსპონატად გადაქცევის უპირებენ

ქირავდება

ერთოთახიანი, იზოლირებული, კეთილმოწყობილი ბინა ქაფთარაძის ქუჩაზე


☎ 93 15 72

რეკლამა სარბიელ-ში

Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80

პატივი გავსით და გადავიხდეთ!

ტიმ ჰარდუეის მაიაში გული აუსრუბდა



ტიმ ჰარდუეი

„მაიაში პიტიმა“ სეზონთაშორის პერიოდში ნაყოფიერად ივაჭრა და რამდენიმე მნიშვნელოვანი შენაძენით საკმაოდ გაიძლიერა შემადგენლობა. გუნდში მოვიდნენ ედი ჯონსი და ენტონი მეისონი, ორივე დღეში ბრაიან გრანტიც მაიაში გახდებოდა. სხვისი თავისუფალი აგენტების ღვენაში „პიტი“ საკუთარი მიავიწყდა — გუნდის ძირითადი გამთამაშებელი ტიმ ჰარდუეი ჯერაც უკონტრაქტოდა. სამი თვე გავიდა მას შემდეგ, რაც „ნიუ იორკ ნიქსმა“ პლეი ოფიდან გამოაგდო „მაიაში“. იქიდან მოყოლებული, კლუბის პრეზიდენტი და მთავარი მწვრთნელი პატ რაილი და კალათბურთელის აგენტი ჰენრი ტომასი ხელშეკრულებაზე მუშაობენ, მაგრამ შეთანხმება ჯერ არ ჩანს — ჰარდუეის მიანიჭა, რომ „მაიაში“ იმაზე მცირე ხელფასს სთავაზობს, ვიდრე შეუძლია რომ გადაუხადოს. თანხის რაოდენობა უცნობია, თუმცა „პიტი“ ცდილობს ტიმი სამი წლით დაისაკუთროს.

ჰარდუეი ამჟამად ჰავაის კუნძულებზეა და ამერიკის შვერტებულ შტატების ნაკრების შემადგენლობაში სიდნეის ოლიმპიური თამაშებისთვის ემზადება. ჩანს, მას მოთმინება გამოეცხვია, რადგან თქვა: „მაიაში“ ჩემი დარჩენის შანსები ორმოცდაათი-ორმოცდაათზეა, ვფიქრობ, მომავალ სეზონს სხვა გუნდში დავიწყებო.

ამის შემტყობა „ინდიანა პეისერზმა“ დრო არ დაკარგა და კალათბურთელს თავისთან გადასვლა შესთავაზა. ლივის ვიცე-ჩემპიონი ჰარდუეის ერთწ-

ლიან კონტრაქტს და ხელფასად 2,5 მილიონ დოლარს პპირდება. ტიმიც დაინტერესდა „პეისერზის“ წინადადებით და განაცხადა: „ამ საკითხს სერიოზულად მივუდგები, რადგან „ინდიანასთან“ ძლიერ გუნდში თამაში დირს. მე ისეთ ადგილას მინდა გადასვლა, სადაც დამაფასებენ. ვფიქრობ, „ინდიანას“ მწვრთნელი აიზია ტომასი მათსებს. „მაიაში პიტივან“ კი ივითვეს ვერ ვერძნობ“.

აიზია ტომასმა, თავად ყოფილმა გამთამაშებელმა, ცხადია, კარგად იცის ჰარდუეის ფასი. სხვა თუ არაფერი, ამ ამპლუაში ტიმის დონის მოთამაშე ლიგაში ერთი-ორია. „ინდიანას“ გამთამაშებელი მარკ ჯექსონი „ტორონტო რეპტორზში“ გადავიდა, ამდენად, ვიცე-ჩემპიონს ვაკანსია გაუჩნდა. თავდაპირველად „პეისერზი“ გამთამაშებლად ჯალენ როუზის დაყენებას ფიქრობდა, მაგრამ ახლა ჰარდუეის ვარიანტი გამოჩნდა. კლუბის პრეზიდენტმა დონი უოლშმა კომენტარი არ დაასანა: „მთავარია, ტიმი ნამდვილად მოინდომოს ჩვენთან გადმოსვლა. სხვა პრობლემას ვერ ვხედავ — ჰარდუეის დონის მოთამაშისთვის „პეისერზში“ ყოველთვის გამოინახება ადგილი“.

ჰარდუეი „ჩიკაგო ბულზში“ გადასვლასაც არ გამოიციხავს. ეს ვარიანტი რეალურია, თანაც რამდენიმე მიზეზის გამო: „ჩიკაგოს“ ახლა ბევრი ფული აქვს და კარგი ხელფასის გადახდა შეუძლია; „ბულზის“ დამრიგებელი ტიმ ფლოიდი ჰარდუეის მწვრთნელი იყო ტეხას-ელ პასოს უნივერსიტეტის გუნდში; თავად ტიმი ჩიკა-

გოში დაიბადა და გაიზარდა.

„მაიაში“ კი, მოგეხსენებათ, შემადგენლობა გაუძლიერდა და მომავალ სეზონში რეალურად იბრძოლებს ლივის ჩემპიონობისთვის. კლუბის ხელმძღვანელებზე გაბრაზებული ჰარდუეი ამბობს: ამ გუნდთან კონტრაქტი არ მაკავშირებს და ამის გამო იქ მომხდარი გაცვლა-გამოცვლები სრულებითაც არ მაინტერესებსო. პატ რაილიზე ნაწყენია და მის კრიტიკას არ ერიდება: „რაილიმ მითხრა, რომ ჩემზე იზრუნებდა, მაგრამ სიტყვა არ შეასრულა. კარგ ხელფასს მპირდებოდა, მაგრამ გაცილებით ნაკლები შემოთავაზა. მეტ პატივისცემას ვიმსახურებ. „მაიაში“ დარჩენა კი მინდა, ოღონდ სხვა პირობებით — მე და ჩემს ოჯახს არაფერი არ უნდა მოგვაკლდეს“. ამის გამოკონე „პიტი“ გენერალური მენეჯერი რენდი ჰვანდი ჰავაის კუნძულებზე გაფრენას და ჰარდუეისთან დალაპარაკებას აპირებს.

ჰარდუეიმ და მისმა თანაგუნდელმა „მაიაში“ და ამერიკის ნაკრებში ალონზო მურნინგმა თითქმის მთელი ზაფხული ერთად გაატარეს — ხან ფიზიკურ მომზადებაში ვარჯიშობდნენ, ხან ისვენებდნენ. მურნინგი ბევრს ეჩივინებოდა ჰარდუეის, „პიტიში“ დარჩიო და რაილისაც შეუთვალა, მგონი, ტიმი დავიციოდიო. ჰარდუეის გადაწყვეტილება რომ შეიტყო, მურნინგმა თქვა: „დარწმუნებული ვიყავი, რომ კლუბი ტიმს კონტრაქტს გაუფორმებდა. ახლა კი დაბნეული ვარ, ეტყობა, ამ ცივ და არაპროგნოზირებად ბიზნესში ბევრი არაფერი გამეცება“.

პერლა Perla
პ ე რ ლ ა
პერლა Perla

მ ა რ გ ა ლ ი ტ ე ბ ი ს მ ა დ ა ზ ი ა



კოსტავას 47

სარკიელი

საორბული ლაბარია "CROCO"

ბელგია. II დივიზიონი. მე-2 ტური

30 აგვისტო

022	სტრომბეკი-მაასლანდი	1,9	3,2	3,5
023	დენდერლეუ-დესელი	1,9	3,2	3,5
024	ტინენი-ჰეკელგემი	1,8	3,1	4,0
025	მონსი-ჰეუსდენი	1,75	3,2	4,0
026	რუზელარე-ლიეუი	2,0	3,2	3,3
027	სერკლი-ლომელი	2,3	3,0	2,9
028	ინგელმუნსტერი-დაინცე	1,5	3,5	6,0
029	გეელი-მოლენბეკი	1,7	3,3	4,2
030	ოსტენდე-ტურნჰაუტი	1,9	3,1	3,6

შეიკარია. „ბ“ ჯგუფი. გადადებული მატჩები

30 აგვისტო

031	ბელინცონა-ბადენი	1,55	3,4	5,3
032	კარუფი-ვილი	2,3	3,2	2,7

კროკოს ბიუროთა მისამართები:

თბილისში — ფურცელაძის ქუჩა, კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში;

№2 ცენტრალური

ფოსტამტი აღმაშენებლის გამზირზე;

გლდანი, სავაჭრო ცენტრი;

თემქა, მე-11 მიკრორაიონი, პირველი კვარტალი და

ვაჟა ფშაველას 46 (მეტრო დელისთან) და წინამძღვრიშვილის 200 (ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში)

ახალი ბიურო: გურამიშვილის გამზირი, 50 (მეტრო „ღრმაღელესთან“)

ქუთაისში — პუშკინის ქუჩა №16, ტელერადიოკომპანია „ივერიონის“ შენობაში.

ბათუმში — ლუკა ასათიანის (ყოფილი ჯაფარიძის) ქუჩა №67, II სართული.

გორში — სტალინის ქუჩა, ჭადრაკის კლუბი.

თელავში — კოსტავას ქუჩა №23.

განთავსებულია სასაქონლო კაპიტალი „კროკოს“

განაწესებული ბიურო. მისამართი: შარტავას 7.

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დაახუსტეთ

გათამაშების წესები

თამაშში მონაწილე პირის მიზანია, გამოიყენოს ტირაჟში მოცემული საორბული შეჯიბრების შედეგი, საორბის სათამაშო სახეობებში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარკიელში“. სიაში მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დაახუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშე უნდა გამოიყენოს ვარიანტი აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეთადის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

ართანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო“-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

1. ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ;
2. შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მიწოდზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება;

3. შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება);

4. მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში;

5. წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი;

6. არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი.

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიანი სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შევისოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა.

ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკომპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, იგება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩაბარდეს „კროკო“-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითარის მიღებას, ანერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო“-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თანხა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო“-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო“-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.

ჯიგანქლეპო, ცოლას გაუფრთხილდი!

ინგლისური კონტრდაზვერვის მი-5-ის, აშშ-ს ფედერალური საგამიძიებო ბიუროსა და ავსტრალიის საიდუმლო სამსახურის მუშაკებმა, რომლებიც მთელ მსოფლიოში ანარქისტთა ელექტრონულ საიტებს იკვლევდნენ, საგანგაშო დასკვნები მიიღეს. დიდი ბრიტანეთის, აშშ-სა და სიდნეის ანარქისტული ორგანიზაციის „ჯეი-18“-ის ახალგაზრდა წევრებს გადაუწყვეტიათ სიდნეის ოლიმპიური თამაშების დღეებში მოაწყო საჩვენებელი აქციები, რომლებიც მიმართული იქნება ვიბესქელი ბობოქრების მიმართ.

„კაპიტალიზმის მტრებს“ დაუგეგმავთ სტადიონის შესასვლელის ჩაკეტვა, მკვლამრე აქციების მოწყობა და, რაც ყველაზე საინტერესოა, იმ ბიზნესმენთა ცოლების დაშინება, რომლებიც ოლიმპიადის სპონსორები არიან. ასეთებდა კი, იცოცხლები, ისეთი ვეშაპები ჰყავთ სიაში, როგორებიც „მაკდონალდსი“ და „ოკა კოლა“ არიან. გარდა იმისა, რომ სპეცსამსახურის თანამშრომლები სცენარის ასეთი შესაძლო განვითარების შესახებ იწყებოდნენ, ამის თაობაზე ელექტრონული შეტყობინებაც მიიღეს, რომელიც მათ ეჭვებს რეალურს ხდის.

სპეცსამსახურების პროგნოზით, სიდნეიში დამრტყმელ ანარქისტთა დაჯგუფებების ჩასვლა მაშინა მოსალოდნელი, როდესაც მელბურნში მსოფლიოს ეკონომიკური ფორუმი დასრულდება.

შეგახსენებთ, რომ ლონდონის კაპიტალისტთა წინააღმდეგ გამართული საპირველმართო კარნავალი პოლიციასთან შეჯახებით დასრულდა, რის შედეგადაც 46 ანარქისტი დაიჭრა და მათ სატუსალოში უკრეს თავი.

თუ გავითვალისწინებთ იმას, რაც ანარქისტებმა ლონდონში დაატრიალეს, წარმოსდგინა, რა დღეში ჩააგდებენ იმ უბედურ ბიზნესმენებსა და მათ ცოლებს.

აღსანიშნავია, რომ ლონდონის იმდღევანდელმა არეულობამ რამდენიმე ბანკსა თუ კომპანიას ორი მილიონი გირვანქის ზარალი მოუტანა.

გიგა გუზასაშვილი



შვეულმფრენები სიდნეის ატომურ ელექტროსადგურსა და მთელ ქალაქს კრუხებით თას დაფოფინებენ

ყველას ბედად და ტერორისტთა საუბედუროდ

გულტიმილიონერ არაბ ტერორისტს ოსამ ბინ ლადენს, ეტყობა, მოხერხდა სხვადასხვა სახელმწიფოში ტერაქტების მოწყობა და გადაწყვიტა ერთი და რამდენიმე წელიწადის ბოლო მოელო. ამისთვის მის ქვეშევრდომებს სამიზნედ მწვანე კონტინენტი, კერძოდ სიდნეის ატომური ელექტროსადგური შეურჩევიათ, ეს ქალაქი კი, მოგესხნებათ, ახლა ყველაზე მეტადაა ყურადღების ცენტრში. ავსტრალიის ეს მეგაპოლისი ხომ სულ რაღაც სამიოდე კვირაში ყველაზე დიდ სპორტულ დღესასწაულს — ოლიმპიურ თამაშებს უმასპინძლებს.

აღსანიშნავია, რომ მწვანე კონტინენტისთვის ტერორიზმი „უცხო ხილია“ და ასეთ მოვლენებს ოცნები ჯერ არ შეჯახებიათ. მათ მხოლოდ საინფორმაციო საშუალებებითა და ფილმებიდან თუ გაუგიათ ტერორიზმის შესახებ. როდესაც ოკლენდური ცნობა გაცხადდა, ამან ავსტრალიაში დიდი ეფექტი გამოიწვია, თუმცა ქვეყნის ხელისუფლება მოსახლეობასა და ტურისტებს მოუწოდებს, რომ შიშის საბაბი არ არის, რადგან სიდნეის ატომური ელექტროსადგური ყველაზე მეტად დაცული ობიექტია და მის ტერიტორიაზე ბომბის შეტანა წარმოუდგენელია.

ამიტომაცაა, რომ „უპირველეს ტერორისტს“ „სასაპარეზოდ“ სიდნეი აურჩევია, მაგრამ ყველას ბედად და ტერორისტთა უბედოდ მისი ჩანაფიქრი დროზე გამოაშკარავდა.

ყველაფერი კი შემთხვევით მოხდა, თანაც არა ავსტრალიაში, არამედ მის მეზობელ ახალ ზელანდიაში — ოკლენდში, სადაც ამ უმსხვილესი ქალაქის პოლიციამ რეიდ მოაწყო, რათა არა-არაგალური ემიგრანტები გამოეშკარავენ. მორეიდებმა ემიგრანტთა ნაცვლად ერთ მეტად შენიღბულ ბინას მიაგნეს, რომელიც ერთ-ერთი ოფიცის თქმით, სამართავ პუნქტს უფრო წაავსავდა, ვიდრე საცხოვრებელს, იქ კი სიდნეის აეს-ის მიმდებარე ტერიტორიების დაწვრილებითი რუკები ინახებოდა. მათზე სპეციალური ნიშნულებით აღნიშნული იყო ის ხელსაყრელი მისასვლელი თუ „შავი“ ხერხები, რომლებიც ტერორისტებს დანიშნულების ადგილზე მიიყვანდა.

მიუხედავად ხელისუფალთა ოპტიმიზმისა, ჩვეულებრივ მოკვდავთ ამის ნაკლებად სჯერათ, რადგან ახსოვთ ფაქტი, როდესაც სიდნეის პოლიციამ სამი თვის წინათ ოლიმპიურ სოფელთან ახლოს, ერთ-ერთი საცხოვრებელი სახლი ფეთქებადი ნივთიერებებით გამოტენილი ნახა.

ამიტომაცაა, რომ მეგაპოლისის ოთხმილიონიანი მოსახლეობა ღამის პანიკაზე მისულა, მით უმეტეს, რომ 50-იან წლებში აგებული ატომური ელექტროსადგური, რომელიც ღამის ქალაქშია განთავსებული, სულ რაღაც 25 კილომეტრითაა დაშორებული ძირითადი ოლიმპიური ობიექტებიდან.

და კიდევ, ვინ იცის, რას გეგმავენ აქური ტერორისტები, კიდევ რამდენი ასეთი კონსპირაციული ბინა აქვთ, რომლებიც პოლიციას ჯერ არ გამოუვლენია.

ვითარებას ამძაფრებს ისიც, რომ სოკამ უარი განაცხადა ავღანელი სპორტსმენებისთვის ოლიმპიადზე გამოსვლის უფლებაზე. შეგახსენებთ, რომ საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა დროებით შეაჩერა ავღანეთის სოკამი წევრობა იმ მოტივით, რომ ქვეყანას მართავენ თალიბები, რომელსაც დაუფარავად მფარველობს საულის არაბული ტერორიზტი ოსამ ბინ ლადენი.

ახლა, როდესაც სიდნეის აეს-ი ყველსთვის ცნობილი გახდა მთელ მსოფლიოში, უსაფრთხოების ძალებმა დამატებითი ზომები მიიღეს მის დასაცავად და, ასე ვთქვათ, უპირველესი ნაგებობაც გახდა. ამ „სტრატეგიული ობიექტის“ თავზე ახლა რეგულარულად პატრულირებს შვეულმფრენი. ავსტრალიის სპეცსამსახურების თანამშრომლები რჩევა-დარიგებებს იღებენ ამერიკისა და სხვა ქვეყნების კოლეგებისგან, რომლებსაც ტერორიზმთან ბრძოლაში და ბინ ლადენის ქვეშევრდომებთან ჰქონიათ საქმე.

ყოველივე ამასთან დაკავშირებით საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ხუან ანტონიო სამარანჩი ოლიმპიურ სიმშვიდეს ინარჩუნებს და დარწმუნებულიცაა, რომ სიდნეის ოლიმპიადზე, მიუხედავად შემოსხნებული საშიშროებისა, ყველაფერი რიგზე იქნება.

— მეჯერა, რომ ეს უსაფრთხო ოლიმპიადა იქნება — ამბობს სამარანჩი ესპანეთის სახელმწიფო ტელევიზიისთვის მიცემულ ინტერვიუში — ყოველდღიურად გვეხმის არასასიამოვნო ამბები, მაგრამ ეჭვიც არ მეპარება, რომ ჩატარებული სამუშაოების მერე, რომელიც მასპინძელი ქვეყნის ორგანიზატორებმა გასწიეს, არანაირი შიშის საფუძველი არ უნდა გვქონდეს, თუმცა ოლიმპიური თამაშების ბოლომდე მშვიდად ყოფნის უფლებაც არ მაქვს, უნდა გვახსოვდეს, რომ 1972 წლის მიუნხენის ოლიმპიადის შემდეგ არცერთი ასეთი მნიშვნელოვანი ინციდენტი არ გვექონია.

გიგა გუზასაშვილი

XX საუკუნის ფოტომატიანა აბაბე ბიკილა

ტომიოს ოლიმპიურ თამაშებზე ეთიოპელ აბებე ბიკილას, მართლაც რბენაში დამაჯერებლად რომ გაიმარჯვა ოლიმპიური რეკორდით, ფინიშის მერე აღტაცებულს უთქვამს, რა ოლიმპიადის სპორტული ფენსაცემლებით რბენაო. არადა, რომის ოლიმპიადზე მან და მისმა თანაგუნდელმა აბებე ვაკრიამა, ორივემ სრულიად უცნობმა სპორტული სამყაროსთვის, მართლაც სტარტზე რომ დადგნენ, პირველად სწორედ მათ მიმართ იქ მყოფი ყურადღება. საქმე ის იყო, რომ ერთი-ცა და მეორეც სტარტზე ფენსშიშველები გამოცხადდნენ. ამით შეცხებულმა მსაჯებმა წაითათბირეს, მაგრამ რაკი შეჯიბრების წესები ფენსშიშველა სირბილს არ კრძალავდა, ისინი შეჯიბრებაზე დაუშვეს. თუმცა, მათ წარმატებას არავინ ელოდა — აბა, ვის უნახავს ფენსშიშველა მორბენალი, თანაც მართლაც. მათი შემხედვარენი ღიმილით ქიჩქილდნენ, ესენი სულ მალე დისტანციას მიატოვებენო. მაგრამ ერთმაც და მეორემაც ბოლომდე ირბინა, ჯერ მზისგან გაავარჯერებულ ასფალტზე, მერე კი, ბინდი რომ ჩამოწვა და დაინდოდა კიდევ, ახლა უკვე — ჩირაღდნებითა და პროექტორებით განჩახახებულ გზაზე.

ვაკრიამა მეათე შედეგი აჩვენა. ეს სასწაულის ტოლფასი იყო. და თუ ეს ასე იყო, რაღა უნდა ვთქვათ მეორე აბებეზე, რომელმაც ოქროს მედალი მოიპოვა, თანაც ოლიმპიური რეკორდით.

ფინიშის მერე მეორე აბებე, უფრო სწორედ პირველი აბებე ბიკილა, ისე მშვიდად და ღიმილით არიგებდა ინტერვიუსებს, თითქოს უკან არ მოეტოვებინოს 42 კილომეტრი და 195 მეტრი.

— ეთიოპურად ჩემი სახელი „ბებე“ ნიშნავს „ყვავილს“, რომელიც აყვავდა — უთხრა ბიკილამ ჟურნალისტებს.

ბიკილამ თავისი სახელი მართლაც გაამართლა.

აბებე ბიკილა დაიბადა მთიან სოფელში, ერთ გაჭირვებულ ოჯახში. ათი წლისამ მწვემსობა დაიწყო. ცხვრის ფარასთან ერთად მალდა, მთებში დადიოდა და დარბოდა. ზოგჯერ ღრუბლებზე ზემოთაც ადიოდა. ცამეტისა სკოლაში მიაბარეს და იქ ჩანას თამაში დაიწყო, ბალახის ჰოკეის მსგავსი თამაშობა რომაა. სარბიელი იყო ორ სოფელს შორის მდებარე უშველებელი მი-

მაგრა ორდენი „ეთიოპიის ვარსკვლავი“.

ამ ზეიმმა ოთხი დღე გასტანა.

რომის ტრიუმფატორმა თავისი გამართა ამომავალი მზის დედაქალაქშიც გაიძვირა. ისე როგორც რომში, არც ტოკიოში ელოდნენ მის გამარჯვებას, თუმცა იგი ფენსშიშველა აღარ გამოცხადებულა სტარტზე. არ ელოდნენ, რადგან მანამდე არ ყოფილა შემთხვევა, სპორტსმენს ზედიზედ ორჯერ გაემარჯვა ოლიმპიურ მარათონში. არ ელოდნენ მის ჩემპიონობას თუნდაც იმიტომ, რომ აბებე ბიკილამ შეჯიბრებაზე რამდენიმე კვირით ადრე აპენინციტის ოპერაცია გადაიტანა.

და მაინც, 32 წლის ბიკილამ გაიმარჯვა და თავისივე ოლიმპიური რეკორდი 3 წუთით გააუმჯობესა.

აბებე ბიკილა მეხუთე ტრიუმფზეც ოცნებობდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ავტოკატასტროფაში ხერხემალი დაინახა და სამუდამოდ ინვალიდის ეტლს მიაჯვავდა. მაგრამ იგი იმედს მაინც არ კარგავდა და 1972 წელს ოსლოში ინვალიდთა მსოფლიოს თამაშებზეც გამოვიდა.

— მეჯერა, ერთ მშვენიერ დღეს ფენსზე წამოვდგები. ვინაც პრძოლა არ სურს, მას არც გამარჯვების უფლება აქვს. გამარჯვებაში კი ცხოვრების არსია! — ამბობდა ბიკილა.

სამწუხაროდ, აბებე ბიკილა ფენსზე წამოვდომას ვერ მოესწო.

იგი 1973 წელს გარდაიცვალა.



ინგლისი

I ღივიზიონი. IV ტური
ძრუ 2:0 ბრინჯაი

II ღივიზიონი. IV ტური
კოლხეთი 4:0 ოლღი
რეიზი 3:3 სტოკი
უოლსონი 3:2 ოსფორდი


III ღივიზიონი. IV ტური
დარლინგტონი 1:0 პლიმუთი
ზრისპირი 0:1 კარლბისლი

საფრანგეთი

VI ტური
კანი 3:0 ანდრი
კრეტი 1:2 შატორუ
ბენიონი 1:1 კანი
ლაპალი 2:0 ნიკა
ლე ავრი 4:0 აიარო
ლორიანი 2:1 გოვი
მონაელი 2:0 მარტივი
ნანსი 3:1 ნიში
სოვო 2:0 ლე მანი
ვასკალი 0:0 ნიორი




იქავ კაია, აქავ კაია



ხარობენ მაღალ-მაღალი და შავტუხა კუბელი გოგონები. კუბის კუნძულზე საჭმელ-სასმელი ჭირს, ერთი დოლარი ლამის სიმდიდრეა და კვლავ სოციალიზმი და კომანდანტე მეფობენ. ეს კი იქავ ნიშნავს, რომ კუბელები კვლავინდებურად საუცხოოდ თამაშობენ ფრენბურთს და რუსებსაც ამარცხებენ. ცნობისთვის, რუსეთში აღარ არის სოციალიზმი.

ფილიპინების დედაქალაქ მანილაში მსოფლიოს დიდი პრიზი კუბელმა გოგონებმა აართვეს რუსებს და საერთოდ, ძნელად რომ რამე სჯობდეს კუბელ დიაცთა ნათამაშევი ფრენბურთის ცქერას. როგორც ამბობენ, არა მხოლოდ სპორტულ პლანში, გრუშე.



ჩახედეთ სიდნის თვალებში

სად იქნებით რვა წლის შემდეგ? აბა, რას იტყვიან? ვერაინ მოგახსენებთ, სად იქნება რვა წლის შემდეგ. თვით ჩინელი სნაველებიც კი ვერ განჭვრეტენ მომავალს. სამაგიეროდ, ჩინელებმა ნაღდად იციან, რომ რვა წლის შემდეგ მათი ქვეყნის დედაქალაქში ოლიმპიური თამაშები გაიმართება. ამ მოვლენებისთვის საავტორო მუშაობა უკვე დაწყებულია — შეხედეთ პეკინის ქუჩას.

ამასობაში კი კარსაა მომდგარი სიდნის ოლიმპიადი. ჩინელებმა უკვე გამოაქვეყნეს თავიანთი 311-კაციანი ოლიმპიური გუნდის სია. იქაური ოლიმპიური კომიტეტის უფროსობამ გამოაცხადა, რომ ოთხი წლის წინათ ატლანტაში მოპოვებულ 16 ოქროს მედალს არ დასჯერდება და ორ ამდენს ჩაიტანს შინ. მათი თქმით, ყველა დაინახავს, რომ ოლიმპიადის შემდეგ ავორებული დოპინგ-სკანდალი, რომელმაც ჩინელი მოცურავენი იმსხვერპლა, გამოგონილი იყო.

დაახ, ბევრს მოუნებს თვალებში ჩახედოს სინამდვილეს სიდნის ოლიმპიურ დარბაზებსა და მოედნებზე. ისე, ამის გაკეთება ჩვენც შეგვიძლია. ჩახედეთ თვალებში ავსტრალიელ მოდელ ამანდა კონორს და იქ სიდნის დაინახეთ.


ეს კონტაქტური ლინზები მავანმა ვესლი ჯენსენმა დაამზადა და მათზე ავსტრალიელთა ეროვნული ფერები და კენჭურები ასახა.

ცნობისთვის — მათი ფასი 125 დოლარია.



რას შექარებოდი?!

წინა პარასკევს პრესკონფერენციაზევე ეტყენენ ერთმანეთს ქვესაშუალო წონის მსოფლიოს ჩემპიონი, კალიფორნიელი ფერნანდო ვარგასი (მარცხნივ) და ტიტულის მოცილე, ბუფალოელი როს ტომპსონი. რინგგარეთა ჩხუბი ჩემპიონის ვინაობას ვერასოდეს გამოარკვევს, ლას ვეგასის „შენდელის“ დარბაზის რინგზე კი მაღევე გაირკვა ყველაფერი — ვარგასმა ტექნიკური ნოკაუტით სძლია მეტოქეს და ჩემპიონად დარჩა.



სარბიელი
საორტული გაჯეტი
გამოიცავა 1990 წლის
28 დეკემბერიდან

გამოდის სამუშაოს,
ოთხშაბათს, ხუთშაბათს,
პარასკევს და შაბათს

პათარტი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი ბიორგი ოქროშაძელი
რედაქტორი თამაზ მიხრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე ილია ბაბუნაშვილი
ავთანდილ გურასაშვილი

ქართული ფეხბურთის რედაქტორი ვახტანგ ბუჩქაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი სოლომონ გულიანაშვილი
ინფორმაციის რედაქტორი რედაქტორი სოსო კოტორაძე
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქტორი ქართული განყოფილება კობა ინასარიძე
მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, უცხოური განყოფილება

გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაძე, ზურაბ მემულაია, ვანო ოქროპირიძე, ინფორმაციის რედაქტორი ვია ახალაძე, დავით გულუა, ირაკლი თავაძე, ავთანდილ სვანიძე, კალათბურთის განყოფილება გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე, ფოტორეპორტიორები გურამ დოლონჯაშვილი, ბადრი კვიციანი, სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი, კომპიუტერული ცენტრი ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მადია დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიაკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შილაშვილი, გიორგი ხარატიშვილი

გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრა
ყაზაგის ბაზარი 42, II
კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო
ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieri@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieri.com.ge